ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 61

ქ. ხობი 30 მაისი 2022 წელი.

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტი(შემდგომში „შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N189, საიდენტიფიკაციო კოდი:244688600; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022; საქართველოს ეროვნული ბანკი. ბანკის კოდი:BNLNGE22; შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მერის დავით ბუკიას სახით

და მეორეს მხრივ, ი.მ "გიორგი ნოდია"(შემდგომში მიმწოდებელი) მისამართი: ქ. ფოთი. 9 აპრილის 9/5; ტელეფონის ნომერი: 597015016; საიდენტიფიკაციო კოდი:42001002352; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი:GE46BG0000000143000001; ბანკი: საქართველოს ბანკი; ბანკის კოდი:BAGAGE22; მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის გიორგი ნოდიას სახით.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2. „ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
3. „დღე" „კვირა" „თვე" კალენდარული დღე, კვირა, თვე.
4. „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მუხლი 1-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

<u>მუხ ლი 1.ხელშეკრულების ობიექტი</u>

1.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს შენობის გარე და სამუშაო ოთახების აბრების დამზადების შესყიდვა.

1.2 კლასიფიკატორის კოდი- 44423400 - ფირნიშები და მათთან დაკავშირებული პროდუქტები.

1.3 ხელშეკრულებას თან ერთვის ფასების ცხრილი და ნიმუშები რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

<u>მუხლი *2.* ღირებულება და ანგარიშსწორების წესი</u>

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის გათვალისწინებით (დღგ-ს გარეშე) შეადგენს **1788.00** (ერთი ათას შვიდას ოთხმოცდარვა) ლარს

2.2 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების შესახებ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

2.3 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

2.5 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

<u>მუხ ლი 3. მიღება-ჩაბარების წესი</u>

3.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- გაწეული მომსახურების დასახელება;
- გაწეული მომსახურების მოცულობა;
- გაწეული მომსახურების ღირებულება;

3.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

<u>მუხლი 4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა</u>

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე მოთხოვნილი იქნება 70 აბრა, რაც მოწოდებული უნდა იქნეს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით. მეორე ეტაპზე მოთხოვნილი იქნება დარჩენილი 15 აბრიდან შემსყიდველისთვის აუცილებელი რაოდენობა, რაც მოწოდებული უნდა იქნეს მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში - 2022 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

4. 2მიწოდება უნდა განხორციელდეს: ქ.ხობი ცოტნე დადიანის N189.

4.3 შემსრულებელმა აბრების დამზადებამდე ყველა დეტალი (მათ შორის ტექსტის სისწორე) შეათანხმოს დამკვეთთან (შემსყიდველთან).

<u>მუხლი 5.მხარეთა უფლება -მოვალეობანი</u>

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია*:*

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას იხელმძღვანელოს ტექნიკური პირობების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

<u>მუხ ლი 6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი</u>

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

6.2. „შემსყიდველის“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

6.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

6.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 7.პასუხისმგებლობა

7. 1.ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%- ის ოდენობით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 %-ს მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8.ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

8.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა.

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად

(წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ: ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს)

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.5 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.7 მიმწოდებლის საატენდერო წინადადება (საკვალიფიკაციო მონაცემები, ტექნიკური პირობები, სამუშოების შესრულების მეთოდები, სამუშაოების შესრულების გრაფიკი, ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა, ნახაზები, სპეციფიკაციები და სხვა დოკუმენტაცია) თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2020 წლის 2023 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

11.2ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე.

საფუძველი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ზ. ბუკიას მოხსენებითი ბარათი(N03-502213813 18.05.2022წ.)

ხელშეკრულება შეთანხმებულია

1. მერის პირველი მოადგილე: რ. ზაქარაია

2. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ზ. ბუკია

3. მერიის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ჭოჭუა

4. მერიის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების

უფროსი: ბ. შონია

5. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის

განყოფილების უფროსი: ჯ. ბერაია

<u>მუხლი 12. მხარეთა ხელმოწერები</u>

„შემსყიდველი“

ხობის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ბუკია

„მიმწოდებელი“

ინდივიდუალური მეწარმე

გიორგი ნოდია

George Nodia 42001002352

Digitally signed by George Nodia
Date: 2022.05.30 12:24:33

ფასების ცხრილი

№	დასამზადებელი აბრა	მოთხოვნები	საქონლის რაოდენობა	საქონლის ფასი	ჯამური ღირებულება
1	შენობის გარე აბრა (80სმX40სმ)	**ზომა:** 80სმX40სმ. **მასალა და ფორმა:** ოქროსფერი ლითონის ფირფიტა, ან სარკისებური ფირფიტა, პროფილური ჩარჩოთი, კედელზე მისამაგრებელი საკიდით. **წარწერა:** შავი არაკალი. **გამოსახულება და ტექსტი:** ხობის მუნიციპალიტეტის გერბის გამოსახულებით, თითოეული შენობისთვის შესაბამისი წარწერით (შემსყიდველის მხრიდან მიწოდებული ტექსტით და ფორმით). **შენიშვნა:** ზედაპირზე დატანებული გამოსახულება არ უნდა ზიანდებოდეს ბუნებრივი მოვლენების ზემოქმედების შედეგად (წვიმა, თოვლი, სეტყვა, მზის სხივების ზემოქმედება და ა. შ.). *იხ. ნიმუში №1*	2	150	300
2	ოთახის მიმანიშნებელი აბრა (27სმX18სმ)	**ზომა:** 27სმX18სმ. **მასალა:** სარკისებური ფირფიტა **წარწერა:** შავი არაკალი, ან ამოტვიფრული. **ტექსტი:** თითოეული ოთახისთვის შესაბამისი წარწერით (შემსყიდველის მხრიდან მიწოდებული ტექსტით და ფორმით). *იხ. ნიმუში №2*	8	35	280
3	ოთახის მიმანიშნებელი აბრა (27სმX15სმ)	**ზომა:** 27სმX15სმ. **მასალა:** სარკისებური ფირფიტა **წარწერა:** შავი არაკალი, ან ამოტვიფრული. **ტექსტი:** თითოეული ოთახისთვის შესაბამისი წარწერით (შემსყიდველის მხრიდან მიწოდებული ტექსტით და ფორმით). *იხ. ნიმუში №3*	3	30	90
4	ოთახის მიმანიშნებელი აბრა (27x10)	**ზომა:** 27სმX10სმ. **მასალა:** სარკისებური ფირფიტა **წარწერა:** შავი არაკალი, ან ამოტვიფრული. **ტექსტი:** თითოეული ოთახისთვის შესაბამისი წარწერით (შემსყიდველის მხრიდან მიწოდებული ტექსტით და ფორმით). იხ. *ნიმუში №4*	14	20	280

5	ოთახის მიმანიშნებელი აბრა (27სმX7სმ)	**ზომა:** *27სმX7სმ.* **მასალა:** სარკისებური ფირფიტა **წარწერა:** შავი არაკალი, ან ამოტვიფრული. **ტექსტი:** თითოეული ოთახისთვის შესაბამისი წარწერით (შემსყიდველის მხრიდან მიწოდებული ტექსტით და ფორმით). *იხ. ნიმუში №5*	54	15	810
6	ოთახის მიმანიშნებელი აბრა (10სმX6სმ)	**ზომა:** *10სმX6სმ.* **მასალა:** სარკისებური ფირფიტა **წარწერა:** შავი არაკალი, ან ამოტვიფრული. **ტექსტი:** თითოეული ოთახისთვის შესაბამისი წარწერით (შემსყიდველის მხრიდან მიწოდებული ტექსტით და ფორმით). *იხ. ნიმუში №6*	4	7	28
			85		1788

დამატებითი მოთხოვნები და ინფორმაცია:

აბრებზე წარწერები უნდა შესრულდეს შესაბამის ნიმუშებზე ასახული სტილით - ნაწილობრივ მუქი და ნაწილობრივ სტანდარტული, ან შესაბამისად, ნაწილობრივ დიდი და პატარა ასოებით (ერთიდაიგივე ზომის აბრებზე განსათავსებელი ტექსტები განსხვავდება სიდიდის მიხედვით. საორიენტაციოდ, ნიმუშებში ასახულია ერთიდაიგივე ზომის აბრებზე მინიმალური და მაქსიმალური სიდიდის ტექსტის ნიმუშები).

თითოეული დასახელების აბრის თითოეული ეგზემპლარისთვის გათვალისწინებული ტექსტი (ტექსტის განთავსების სტილის გათვალისწინებით), ასევე, მუნიციპალიტეტის გერბის ელექტრონული ვერსია, პრეტენდენტს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

თითოეულ აბრას (გარდა პირველ პოზიციაზე მითითებული აბრებისა) უნდა მოყვებოდეს საკმარისი რაოდენობის ორმხრივი წებოვანი ლენტი (ე.წ. „ორმაგი სკოჩი“), აბრის კედელზე მისამაგრებლად.

„შემსყიდველი“

ხობის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ბუკია

„მიმწოდებელი“

ინდივიდუალური მეწარმე

გიორგი ნოდია

George Nodia 42001002352

Digitally signed by George Nodia
Date: 2022.05.30 12:21:25

ნიმუში №1 *2 ცალი, ზომა: 80სმX40სმ.*

ხობის მუნიციპალიტეტის

ადგილობრივი თვითმმართველობა

ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი

---(სოფლის დასახელება)--ის ადმინისტრაციულ ერთეულში

ნიმუში №2 *8 ცალი, ზომა: 27სმX18სმ.*

ა) მინიმალური ტექსტი

ხობის მუნიციპალიტეტის მერი

(სახელი, გვარი)

ბ) მაქსიმალური ტექსტი

შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამსახური

ბავშვის უფლებების დაცვისა და
მხარდაჭერის განყოფილება

ნიმუში №3 *3 ცალი, ზომა: 27სმX15სმ.*

შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

(სახელი, გვარი)

ნიმუში №4 *14 ცალი, ზომა: 27სმX10სმ.*

ა) მინიმალური ტექსტი

განყოფილების უფროსი

(სახელი, გვარი)

ბ) მაქსიმალური ტექსტი

მერის წარმომადგენელი ---(დასახელება)---ის ადმინისტრაციულ ერთეულში

(სახელი, გვარი)

ნიმუში №5 *54 ცალი, ზომა: 27სმX7სმ.*

ა) მინიმალური ტექსტი

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

(სახელი, გვარი)

ბ) მაქსიმალური ტექსტი

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი

(სახელი, გვარი)

ნიმუში №6 *4 ცალი, ზომა: 10სმX6სმ.*

401

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ სამუშაო ოთახების აბრების დამზადების შესყიდვაში მონაწილე მიმწოდებელთან ი.მ „გიორგი ნოდია“-სთან არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერი: დ. ბუკია

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში: ლ. ბუკია

ინდ. მეწარმე გიორგი ნოდია
9 აპრილის 9/5
ქ.ფოთი, 4400
საქართველო
ს/ნ: 42001002352
ტელეფონი: 597015016
ელ.ფოსტა: piartpoti@gmail.com

საბანკო ინფორმაცია
მიმღები: ინდ. მეწარმე გიორგი ნოდია
ანგარიშის ნომერი: GE46BG0000000143000001
ვალუტა: GEL
ბანკის სახელი: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22